ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამბავი ჯვარცმული ორი ავაზაკისა და იუდა ისკარიოტელის მძიმე ცოდვები

2006

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსის მეუფე თადეოზის ლოცვა-კურთხევით

# ამბავი ჯვარცმული ორი ავაზაკისა და იუდა ისკარიოტელის მძიმე ცოდვები

(წმ. ნილოს მირონმდინარის გამოცხადებების მიხედვით)

გამომცემელი:

© ოთარ ნიკოლაიშვილი

თბილისი 2006 წ.

УДК (უაკ) 27–423.5–055+27–312.55+27–185.3
ნ–635

ეროვნული ბიბლიოთეკა

K74,066

გამოიცა ქალბატონ ესმა თოლორაიას საქველმოქმედო ღვაწლით. უფალმა დალოცოს და ახაროს ორსავ სოფელსა შინა ყოველ მოყვასთან ერთად. ამინ.

ISBN 99940-0-914-1

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რის გამო იყო, რომ მაცხოვართან ერთად ჯვარცმულ ავაზაკთაგან ერთმა შეიცნო ქრისტეში ღმერთი, ხოლო მეორემ კი ჰგმო იგი

როგორ შეიცნო კეთილგონიერმა ავაზაკმა ჯვარცმულ ქრისტეში ღმერთი?.. რომელმა ნათელმა გაუცისკროვნა მას გონება იმისათვის, რომ შეეცნო მაცხოვრის ღმრთეება და გაეკიცხა მეორე ავაზაკი, რათა იგი დადუმებულიყო და აღარ დაეგმო უფალი? ერთიც ყაჩაღი იყო და მეორეც. რის გამო მოხდა ისე, რომ ერთმა ადიდა მხსნელი, მეორემ კი ჰგმო?

ავაზაკი იგი (პირველი) იყო ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის მადლიანი რძით დაპურებული, ხოლო მეორე კი წარმოშობილი იყო იუდა ისკარიოტელის, გამცემის თესლისაგან.

როდესაც ვარსკვლავთმრიცხველთაგან მოკითხული ჰეროდე იესოს გამო გამძვინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა, ანგელოზმა უბრძანა მართალ იოსებს განრიდებოდა მეფის რისხვას. მართლაც, იოსები ყოვლადწმიდა მარიამთან და ყრმა მაცხოვართან ერთად ეგვიპტისკენ გაემართა. გზად მათ ერთი სოფლის გავლა მოუწიათ, რომელსაც ელინთა ენაზე ექსანიონი (უცხოდ გამოჩინებული) ეწოდებოდა. მგზავრებს ბინდმა მოუსწრო და სოფელში შესულები ღამის გასათევად ერთ-ერთ სახლში დაბინავდნენ. დამხვდურებმა სტუმრები დიდის სიხარულით მიიღეს, თუმცა კი არ უწყოდნენ ვის უწევდნენ მასპინძლობას. ამგვარი უცხოთმოყვარეობა გამოავლინეს სოფლის სხვა მაცხოვრებლებმაც, რომლებიც წმიდა ოჯახის მასპინძელთა მსგავსად, სტუმართა წინაშე სითბოდ და სიყვარულად დაიღვარნენ, ამიტომაც ერქვა ამ სოფელს ჰელინთა ენაზე ექსანიონი.

იმ სახლში, სადაც მართალი იოსები, ყოვლადწმიდა მარიამი და ყრმა იესო სტუმრობდნენ, დიასახლისებმა ჩვეულებისამებრ

იწყეს სტუმართათვის ვახშმის მომზადება. სასიხარულო საქმით გართულმა მასპინძლებმა ოჯახში მყოფი საკუთარი ჩვილი უყურადღებოდ დატოვეს, და როგორც პანაწებს სჩვევიათ, ყრმამ საბრალობელი ტირილი მორთო.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მოტირალი ჩვილის დანახვაზე იგი დასაწყნარებლად ხელში აიყვანა, განიხსნა უწმიდესი საკინძე და პაწიას თვისი ძუძუ მოაწოვა... გამთენიისას კი მგზავრებმა სტუმართმოყვარე სახლეული დატოვეს და გაეშურნენ იქით, საითაც ანგელოზმა უბრძანა...

ყრმა იგი დროთა განმავლობაში წამოიზარდა, დავაჟკაცდა და როგორც ადამიანი, ცთუნებათაგან იძლია, თუმცა კი იყო დავითის ნაწილი (ანუ მას მიღებული ჰქონდა ღვთისმშობელი დედის რძე და აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, იგი უკვე დავითის თესლის ნაშიერი იყო). მალე მან ყაჩაღობა დაიწყო და იუდას თესლისაგან ნარ-

მოშორბილთან ერთად ავაზაკობდა. ისინი შეპყრობილი იქნენ მეფის ხელისუფლების მიერ და სამსჯავროში იმ ჟამს წარადგინეს, როდესაც მწიგნობრებმა და ფარისევლებმა განსაჯეს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. დადგენილი იქნა – ქრისტე ჯვარს ეცვათ ორ ავაზაკთა შორის, რაც აღასრულეს კიდეც. მაშინ ღვთისმშობლის მადლიანმა რძემ, რომელმაც ოდესღაც ჩვილობისას დაარწყულა ავაზაკი, თავისი ძალმოსილება ჯვარზეც გამოავლინა. ჯვარცმულ ავაზაკს თვალთახედვა განეხვნა და მან შეიცნო ქრისტეს ღმრთეება, გაახსენდა ის უცხოთმოყვარეობა, რომელიც მისი მშობლების სახლში იყო გამოჩენილი და შეჰყვირა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა” (ლუკა 23,42). ავაზაკი თითქოს ასე ამბობდა, „ღმერთო! ამ წმიდა ხელებმა აკურთხეს და დალოცეს სახლი მამისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა მიიღეს (სიტყვა-სიტყვით – შეიცნეს) ღმრთეება შენი; ან კი ვუმზერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი და ჩემი მშობლების მიერ ჩადენილი ცოდვების გამო ჯვარზე მილურსმულო შენს ხელებს და გვედრი, დამლოცე მეც სუფევითა შენითა...”

მოისმინა რა მაცხოვარმა ავაზაკის სიტყვები, თქვა: „ამენ გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა” (ლუკა 23,43).

მოყვასის გულშემატკივარი და მისთვის სიკეთის მქმნელი ამ სიკეთეს არასოდეს დაჰკარგავს? არც დიდსა და არც მცირეს, მიუხედავად იმისა თუ ვის მიაგო იგი, კეთილსა თუ ბოროტს, ახლობელსა თუ შორებელს, მდიდარსა თუ ღარიბს, სულ ერთია, გაწეული სიკეთე არასოდეს დაიკარგება და არც არასოდეს იქნება დავიწყებული ის, ვინც იგი აღასრულა – გინა სიტყვით და გინა საქმით... გავიხსენოთ რაოდენ დიდი მადლი მიაგო უფალმა სტუმართმოყვარე ოჯახს, როდესაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მათი ძე საკუთარი რძით გამოკვება. სწორედ ამის მადლმა კეთილქმნა ავაზაკი, აწ ყოვლად-

წმიდა ღვთისმშობლის რძემ განუხვნა მას სულიერი ხედვა და ჯვარზე გაკრული მეკობრე იქცა აღმსარებლად ძისა მისისა.

ახლა კი ამბავი მეორე ავაზაკისა:

იუდა ისკარიოტელი – გამცემი უფლისა, ერთ დროს ვინმე ელინის სახლეულში შვიდი თვის განმავლობაში მსახურად იდგა, ხოლო შემდეგ მიატოვა იქაურობა და გაიქცა.

სახლში მსახურობის დროს იუდამ, იყო-რა მრუში, ელინის ძის ცოლთან უსჯულო კავშირი გააბა და მასთან სიძვით დაეცა. დედაკაცის მეუღლე ამ დროს შორეულ მოგზაურობაში იმყოფებოდა. როდესაც ელინის ძე შინ დაბრუნდა და ფეხმძიმე ცოლი იხილა, მას სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ ის მოიმოქმედა, რომ მოღალატე თანამეცხედრეს ცოლ-ქმრული კავშირით აღარ ერთვოდა. დედაკაცი მიხვდა, რომ ქმარი მისი ორსულობის ამბავს მიხვედრილი იყო და ამის შესახებ მაშინვე იუდას აუწყა. და უთ-

ხრა მას იუდამ: „შენ ხომ არ გითქვია მის-
თვის ჩვენი მრუშობის შესახებ?" ქალმა მი-
უგო: „მე არაფერი გამიმხელია მისთვის და
არც თავად უკითხავს მას რაიმე ჩემთვის".
თქვა იუდამ: „საით წავიდა იგი ახლა?" მე-
ძავმა დედაკაცმა მიუგო: „იგი შეწუხებული
გავიდა გარეთ და არ კი ვუწყი თუ საით
გაემართა". იუდამ ქმრის ძებნა დაიწყო,
მთელი სახლი შემოიარა და ბოლოს საგო-
ნებელს მიცემული ელინის ძე სახლის ბან-
ზე მჯდომარე იხილა. სიმაღლეზე მჯდარი
კაცის დანახვისას იუდამ იწყო განსჯა თუ რა
ხერხით გადაეგდო იგი ძირს, რათა მათი
უსჯულოების ამბავი ხალხში არ გავრცელე-
ბულიყო. და მან შემდეგი რამ მოიფიქრა:
სვეტს, რომელიც ბანს იჭერდა იუდამ ძირი
ჩუმად გამოუთხარა, შემდეგ მას მსხვილი
თოკი მოაბა და რაც ძალი და ღონე ჰქონ-
და თოკი თავისკენ დაქაჩა. სვეტი წამოიქ-
ცა, ბანი ჩამოინგრა და საბრალო კაცის
ქვეშ მოიყოლა, რომელიც საწყალობელი სი-

კვდილით ნანგრევებშივე აღესრულა. დედა-კაცმა კი, რომელმაც იხილა თუ რა ჩაიდინა იუდამ, მას იძულება დაუწყო, რომ იგი ცო-ლად შეერთო და მისი ქმარი გამხდარიყო. მაშინ ქალმა იუდას უთხრა: „უკეთუ ცოლად არ შემირთავ, იცოდე, ყველას მოვუთხრობ იმ უსჯულოების შესახებ, რაც შენ ამ სახ-ლში მოიმოქმედე".

ამ სიტყვებმა ისე შეაძრწუნა იუდა ის-კარიოტელი, რომ სახლიდან იდუმალ გაიპა-რა და გაიქცა.

და შვა დედაკაცმა ვაჟი – თესლი იუდა-სი. ჩვილი ყრმა წამოიზარდა და მალე და-კაცდა კიდეც. მამის ცოდვით დამძიმებული ყმაწვილი მის მსგავსად დასცა ბოროტმა, ავაზაკობა დაიწყო და ამ საქმეში ღვთის-მშობლის რძენახმევი ჭაბუკიც აიყოლია. 12 წლის განმავლობაში მეკობრეობდნენ ისინი ერთად, რის შემდეგადაც ორივე შეიპყრეს და ავაზაკობისათვის მაცხოვრის ძელის სხვადა-სხვა მხარეს ჯვარზე მილურსმეს. ავაზაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგან ერთი, რომელმაც აღიარა მაცხოვარი, უფლის მარჯვენა მხარეს იყო ჯვარცმული, ხოლო მეორე კი, რომელმაც ჰგმო იგი, მარცხენა მხარეს. იგულისხმება – მართლე-ბი მარჯვნივ და ცოდვილნი კი მარცხნივ. ის 12 წელი კი გამოხატავს საშინელ სამსჯავ-როს, როდესაც გამოჩნდება 12 ტახტზე მჯდომარე 12 მოციქული, რათა მართალი მსჯავრით განსაჯონ ისრაელის 12 ტომი. ანუ აღმსარებლები იმ დროს დადგებიან ღვთის მარჯვნივ, ხოლო ცოდვილნი კი მარცხნივ.

მამის დათესილი სიბოროტე შვილმა ღვთის გმობად მოიმკო და უფალს მხეცურ-ვლად საკუთარი ურცხვობა შესწირა? ამის გამო იგი თავადვე იქნება შერცხვენილი სა-შინელი სამსჯავროს ჟამს და ცეცხლოვანი მდინარე წარიტაცებს ამ სიტყვების მთქმელს: „შენ თუ ხარ ქრისტე, იხსენ თავი შენი და ჩვენცა" (ლუკა 23,39), და გმობით გაუმაძ-ღარ ჯოჯოხეთის უფსკრულში დანთქავს. ჯვარცმული მაცხოვრის შემხედვარე მწიგნო-

ბრებმა და ფარისევლებმა, როდეს ავაზაკის ეს სიტყვები ისმინეს, გაიხარეს და ხმამაღლა დაუკრეს მას კვერი. და ამით კიდევ ერთხელ სცადეს მიწაზე გარდამომხდარი ღმერთის დამდაბლება. მაგრამ ამის სანაცვლოდ სწორედ იგი მგმობელი შთახდა ცეცხლოვან გეენაში.

პირველი ჯოჯოხეთში, თავისი გამყიდველობით, მამაი მისი – იუდა გამცემი ჩავიდა, ხოლო მეორე კი, ცეცხლებრ მგზნებარე კიცხვით ალვსილი და გმობის სათავის დამდებელი – ძე გამცემლისა. და ორივე, მამაც და შვილიც, ისე ჩაიკრა მთიებმა მკერდში, როგორც თავისი პირველშობილი ძეები. მამამ განსყიდა უფალი, შვილმა კი ჰგმო იგი, მამამ, მისივე გარდამეტებული მზაკვრობით, ხეზე ჩამოიღრჩო თავი, შვილი კი, მწველს გმობაში ჩათრეული, შერცხვენილ იქნა!

იუდა გამცემი, როგორც მაგალითი ყოვლის ართქმული სულგრძელობისა. მისი წარმომავლობა, სიყრმისეული სასიკვდილო ცოდვები, მოციქულობა და მოციქულთა შორის სამეურნეო საქმეთა წინამძღვრობა (მეგუადრუცეობა – სალარის მცველობა). სულიერი ძალაუფლების მითვისებისა და ქრისტეს მოწაფეებათა შეზღუდვის მცდელობა. მზაკვრული ზრახვანი, რომელთაც გამცემლობა და თვითმკვლელობა გამოიწვიეს.

იუდა წარმოშობით სოფელ ისკარიოტიდან იყო და მამას მისას როველი ერქვა. იუდას ჩასახვამდე დედამისმა საშინელი სიზმარი იხილა და ყვირილით გამოეღვიძა. ქმრის კითხვაზე მან უპასუხა: ვიხილე, რომ მივუდგები და ვშობ ძეს, რომელიც იუდეველთა ტომის დამაქცევარი იქნება. ქმარმა გაკიცხა ცოლი სიზმრის დაჯერებისათვის.. იმ ღამეს ქალი მართლაც დაფეხმძიმდა და შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომ ამისა შუა ძე. იმის გამო, რომ ქალის საშინელი სიზმარი მოსვენებას არ აძლევდა, ცოლ-ქმარმა მოითათბირა და გადაწყვიტეს ახალშობილი თავიდან მოეცილებინათ. მართლაც მათ გააკეთეს პატარა ყუთი, ფისით შეგლისეს და მასში ჩაწვენილი ჩვილი გენესარეთის ტბის ტალღებს მიანდეს. ისკარიოტის მოპირდაპირედ, ტბაში, პატარა კუნძული მდებარეობდა, რომელზედაც ზამთრობით ცხვარს აძოვებდნენ ხოლმე და სადაც მწყემსები ცხოვრობდნენ. სწორედ ამ მწყემსებთან მიაცურეს ტალღებმა ყუთი, რომელშიც პატარა იწვა. მწყემსებმა ყუთი ნაპირზე გამოიტანეს, ჩვილი ამოიყვანეს და ცხვრის რძე დაალევინეს, შემდეგ კი ვინმე დედაკაცს მისცეს გამოსაკვებად. სწორედ ამ ქალმა უწოდა მას სახელი იუდა. როდესაც ყრმა მცირედ წამოიზარდა, მწყემსებმა იგი ძიძისაგან წამოიყვანეს და ისკარიოტში მიიყვანეს, რათა ვინმესთვის მიეშვილებინათ. აქ მათ იუდას ნამდვილი მამა – როველი შე-

მოხვდათ, რომელიმაც ბუნებრივია, არ უწყო-
და თუ ვინ იყო მის წინაშე მდგარი ყრმა.
მან პატარა იუდა თავისთან წაიყვანა და სა-
ხლში დააბინავა. ცოლ-ქმარს ძლიერ შეუყ-
ვარდათ იუდა, რომელიც მეტად მშვენიერი
შესახედაობის იყო და სწყალობდნენ-რა თავის
წყალს გატანებულ ბიჭზე, გადაწყვიტეს იგი
შვილად აეყვანათ. შემდგომში მათ კვლავ
შეეძინათ ვაჟი, რომლის მიმართაც დროთა-
განმავლობაში იუდას შური აღეძრა. იგი ში-
შობდა, რომ მის გამო მემკვიდრეობა არ
დაეკარგა, რამეთუ იუდა ბუნებით მეტად
ბოროტი და ვერცხლისმოყვარე იყო. და
მან იწყო ძმის უმიზეზოდ ჩაგვრა და ცემა,
რის გამოც მშობლები მას ხშირად სჯიდნენ,
მაგრამ იუდას გულში სულ უფრო და უფრო
იზრდებოდა ძმისადმი სიძულვილი და ბო-
ლოს, სიმდიდრის დახარბებულმა, დრო იხ-
ელთა და როდესაც მშობლები სახლში არ
იმყოფებოდნენ, მან ქვის დარტყმით მოჰკ-
ლა საკუთარი ძმა, რის შემდეგაც, მოსალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნელი სასჯელით შეშინებული, სახლიდან გაიქცა და კვლავ იმ კუნძულს შეაფარა თავი, რომელზედაც იგი მწყემსებმა გამოზარდეს. აქვე მოეწყო იგი მსახურად ზემოთხსენებულ ელიონის სახლში, სადაც მასპინძლის რძალთან სიძვით დაეცა და მას შემდეგ რაც ელიონს შვილიც მოუკლა, კუნძულიც დაუტევა და თავი იერუსალიმს შეაფარა. იერუსალიმში იუდა ჰეროდე მეფის სასახლეში მოხვდა, სადაც იგი მეფეს სიმარჯვისა და მშვენიერი შესახედაობის გამო თვალში მოუვიდა და მალე სასახლის საქმეთა მმართველად და მომმარაგებლად დაადგინა (იუდა ყიდულობდა ყველაფერს, რაც კი სასახლისათვის იყო საჭირო). მისი მშობლები კი, რომლებმაც არ უწყოდნენ რა უბედურება დატრიალდა მათ სახლში, ანუ ვინ მოჰკლა მათი მცირეწლოვანი ძე და სად იმყოფებოდა თავად იუდა (მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ იუდა იყო მათი ძის მკვლელი), მეტად სწუხდნენ უგზო-უკვლოდ დაკარგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 74.066

უფროსი შვილის გამო... გამოხდა ხანი. ისკარიოტში დიდი შფოთი ატყდა და მამა იუდასი ცოლთან ერთად იქაურობას გამოერიდა. ცოლ-ქმარი იერუსალიმში გადასახლდნენ და მეფის სასახლის სიახლოვეს მშვენიერხილნარიანი სახლი შეიძინეს.

ერთხელ იუდამ თავისი მამის ბაღი გაძარცვა და იქიდან უმშვენიერესი, სურნელოვანი ნოდებული ყვავილები წამოიღო. დედამ მისმა ვერ გაბედა იუდასათვის ხელის შეშლა, რადგან იგი მეფის მოხელე იყო (ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული თუ ვინ ვინ იყო). იუდამ კი სხვისი სახლიდან ყვავილები ისე დაჰკრიფა, რომ სახლის პატრონთათვის არც კი უკითხავს, მაგრამ იყო რა მტაცებელი და ძალაუფლების მოყვარე, თამამად შეიჭრა უცხო ეზოში და ყვავილები წამოიღო, მაგრამ გარეთ რომ გამოვიდა, მას კარებში მამამისი დახვდა, რომელიც სამუშაოდან ბრუნდებოდა. როდესაც მამამ უცხოს ხელში მისი ეზოს ყვავილები იხილა, ჰკით-



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა: „რატომ დაკრიფე ეს ყვავილები?" იუდამ კი თავხედურად მიუგო: „მე ისინი მჭირდებოდა, შენ ვინ გეკითხება?" მამას კი, როდესაც ამგვარი პასუხი მოისმინა, რისხვამ აიტანა და თქვა: „შენ გჭირდება და მე კი აღარ მჭირდება?" იუდამ კი ბრაზით მიუგო მამას: „ასე გაბედულად ლაპარაკს როგორ მიბედავ, ნუთუ არ უწყი, რომ მე მეფის მოხელე ვარ?" მამამ კი უპასუხა: „შეიძლება შენ მართლაც მეფის კარისკაცი ხარ, მაგრამ ასე თავხედურად რატომ მექცევი? რატომ უნდა მეშინოდეს მე შენი? როგორ გაბედე ჩემს სახლში შემოსვლა და უკითხავად რაიმეს გაცანა?" – და ამ სიტყვებით მამა შეეცადა იუდასთვის ყვავილები ხელიდან წაერთმია. იუდამ კი, იყო-რა გულგრილი და ამაყი, სახლის პატრონის სიტყვის თქმაც აღარ დააცალა, იმავე წამს ქვას ხელი დასტაცა, მამას თავში ჩაარტყა და იქვე მოჰკლა. ასე იქცა იუდა მამისმკვლელად!

ამის შემდეგ იგი უდიდესი ქედმაღლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზით თავის მბრძანებელს (ჰეროდეს) ეახლა და ყვავილები მიართვა. და ჰკითხა მას მეფემ: „როგორ მოიპოვე ისინი?" იუდამ მიუგო: „მე არ მიძებნია პატრონი იმისათვის, რომ ყვავილები ჩემთვის მოეცა, მე იგი მოვკალი და ყვავილები ისე წამოვიღე! მბრძანებელმა კვლავ იკითხა: „მართალია ის რასაც ამბობ?" იუდამ უპასუხა: „ჩემი სიცოცხლით ვადასტურებ, რომ მე მოვკალი იგი, მეუფევ ჩემო, რამეთუ მან შენი ხელმწიფება აძაგა და მეც შეურაცხმყო". და თქვა მეფემ: „ახლავე გავაგზავნი კაცს და შევიტყობ, მართალია თუ არა ის რასაც შენ ამბობ, ხოლო უკეთუ ყოველივე დადასტურდება, ჩემი პალატებიდან გავაძევებ და სათანადოთაც დავსჯი, რამეთუ შენ უღირსად მას კი არ მოექეცი, არამედ მე". მბრძანებელმა მართლაც გააგზავნა კაცი ამბის შესატყობად, რომელიც მალევე დაბრუნდა და მომხდარის შესახებ მეფეს ყოველივე მოახსენა. როგორც კი მეფემ შეიტყო, რომ ყო-

ველივე სიმართლე იყო, განრისხდა და გა-
ნიზრახავდა იუდასათვის ბოროტის ყოფას. იუდამ კი, იყო-რა მზაკვარი, მეფის რისხვის გასანეიტრალებლად შუამავლებს მიმართა. ხელ-მწიფის კარის დიდებულებმა იუდას მხარი დაუჭირეს და მბრძანებელს მისი შეწყალება სთხოვეს. მეფემ კი როდესაც იხილა, რომ იუდას დას-ჯას შესაძლოა სასახლის კარზე შფოთი მოჰყოლოდა, რისხვა დაუცხრა, იუდას დანაშაული შეუნდო, შეიწყალა და კანონის თანახმად მოკლულის ცოლზე დაქორწინება უბრძანა. სიბოროტისა და ვერაგობის ჭურ-ჭელმა იუდამაც თანხმობა განაცხადა, მაგრამ იუდასთან ქორწინებაზე სასტიკი უარი შემო-თვალა თავად მოკლულის მეუღლემ, რომე-ლმაც განაცხადა, რომ სხვაზე გათხოვდებო-და, მაგრამ იუდას კი ცოლად არ გაჰყვებო-და. მეფემ მრისხანე ბრძანებით დედაკაცს სხვაზე დაქორწინება სასტიკად აუკრძალა და იუდას ცოლობა უბრძანა. ამის გამო, უბ-ედურმა ქალმა, იძულების გამო ეს წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება მიიღო... და შეირთო იუდამ დედაი თვისი ცოლად... და ამ გაუგონარი მეუღლეობის შედეგად მათ ვაჟიც შეეძინათ. ერთხელ „მეუღლეებთან" ერთ-ერთი საყდრის დროს ყველაფერი გაცხადდა. იუდამ შეიტყო საშინელი საიდუმლო, რომ ის და მისი ცოლი ერთი სისხლისანი, ანუ დედა-შვილი იყვნენ... იუდამ მაშინვე მიატოვა იერუსალიმი, დედა, და იმ განზრახვით, რომ ცოდვები შეენანიებინა, იესო ქრისტეს მიაშურა.

და შეიგრძნო იუდამ უსჯულოება თვისი, ანუ ის, რომ ცოლად შეირთო საკუთარი დედა, მოჰკლა მისი მეუღლე, მამა თვისი, და მოჰკლა ყრმა, რომელიც ძმაი იყო მისი... დედამისისაგან მან ყოველივე შეიტყო, რაც ადრე არ უწყოდა და ამის შემდეგ, როგორც კი გაიგო, რომ იესო იერუსალიმის შემოგარენში ხალხს მოძღვრავდა (რომელი მოუწოდებდა ცოდვილებს სინანულად), მაშინვე მას მიაშურა, იპოვა იგი და შეუერთდა მას, რათა მისი მიმდევარი გამხდარი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყო...

მაცხოვარმა იგი მორწმუნედ მიიღო და სალოცავს მცველობა და მისი განკარგვის უფლება ჩააბარა... მაგრამ ვერცხლისმოყვარეობით სნეული იუდა თვით მაცხოვრის ფერხთქვეშაც განაგრძობდა ფულის პარვას და მტაცებლობით მოპოვებულს დედას უგზავნიდა, ვითომდა თავის სარჩენად...

მაცხოვარმა იცოდა, რომ იუდა სიკეთისმოძულე, ბოროტგანმზრახველი და გულღვარძლიანი იყო, მაგრამ იგი თავისთან მაინც დიდი სიხარულით მიიღო, რამეთუ სული მისი წყლულებათაგან განეკურნა. და დაადგინა იუდა უფალმა იესო ქრისტემ მოციქულთა განმგებლად, რამეთუ მას ეხელმძღვანელა ყველასათვის, და უბრძანა მოციქულებს მაცხოვარმა, რომ ყოველივეს შესახებ, რაც კი ხორცისათვის სახმარად დასჭირდებოდათ, ნებართვა იუდასაგან მიეღოთ.

ისმინეს-რა მოციქულებმა ნება მოძღვრისა, უდრტვინველად იწყეს მისი აღსრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება და არასოდეს დაუჩივლიათ იმის გამო, რასაც სჩადიოდა იუდა, და არც სიტყვა დაუძრავთ არასოდეს მის შესახებ მაცხოვართან, თუმცა კი ხშირად იყვნენ იუდას ურჩობისა და უმართებულო ქცევის შემსწრენი. მოციქულები იესოს ყოველ სიტყვას იმ გადანწყვეტილებით იღებდნენ, რომ იგი საქმით, შეუქცევლად აღესრულებინათ და ამიტომაც ისინი არასოდეს დრტვინავდნენ თავისი ძმის, იუდას საქციელის გამო... რადგან მაშინ იუდა იყო მოციქულთა ძმა და მოსწავლე ქრისტესი. მაცხოვარმა მასაც დაჰბანა ფერხნი, ისევე როგორც სხვა მოციქულებს, მაგრამ შემდგომ მისი გამცემლობისა იგი იქმნა ძმად ეშმაკისა, მოწაფედ მთიებისა და გახდა ერთ-ერთი ეშმაკთავანი. იყო ჟამი, როდესაც მას მოციქული ერქვა და ეშმაკად კი გარდაიქცა... ეს მას იმის გამო შეემთხვა, რომ მოციქულები, რომლებიც მაცხოვრის სიტყვებს საქმით აღასრულებდნენ, სამოთხის სვეტებად გარდაიქცნენ, ხოლო იუდა კი,

თუმცაღა ყურს უგდებდა იესო ქრისტეს სიტყვებს, მაგრამ არ შეისმენდა მათ იმ მზადყოფნით, რათა ისინი საქმით და უდრტვინველად აღესრულებინა, და ამასთან ერთად, იგი არც საქმისადმი გულიანი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, ანუ მაცხოვრის სიტყვას იგი ბუზღუნითა და უხალისოდ ემორჩილებოდა. მოციქულები მაცხოვრის სიტყვებს ისე იყნენ დანდობილნი, როგორც ურყევ სვეტებს და თავადაც სამოთხის სვეტებად გარდაიქცნენ, იუდა კი უფლის სიტყვებს ისე იყო დანდობილი, როგორც დამპალ სვეტს და თავადვე დაემხო კიდეც. ანუ მოსწყდა უფალსა და მოციქულებს და ჯოჯოხეთის წკვარამში ჩაინთქა.

იუდა იმით არ შემოიფარგლა, რომ ყოველივე ამსოფლიურის გარეგნული მფარველობის ნება ჰქონდა მინიჭებული – იგულისხმება, რომ იგი იყო სალაროს, სყიდვისა და განსყიდვის გამგებელი, არამედ მან მოინდომა თავისი ძალაუფლების ქვეშ მოე-

ქცია შინაგანი გაცვლა-გამოცვლაც; ანუ იუდ-
ამ მოიწადინა, წინ აღუდგომოდა ხალხს, რათა
მათ მაცხოვართან აღარ მოეტანათ თავისი
ცოცხალი რწმენა, სურნელოვანი მირონი და
ღვთაებრივი დიდება. ანუ იუდა ხალხს არ
აძლევდა იმის ნებას, რომ მაცხოვრისათვის,
როგორც ღმერთისათვის ისეთი პატივი მიე-
გოთ, იგი როგორც უფალი ისე განედიდე-
ბინათ და მისთვის სურნელოვანი ნელსაცხე-
ბლები ეცხოთ, რისთვისაც ადამიანები მაშინ
საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდნენ, ისევე
როგორც დღეს იხარჯებიან ადამიანები, რათა
ეკლესიებში მიიტანონ შესაწირი საღმრთო
წირვისათვის, რომელიც არის ბეჭედი ქრის-
ტესი. საკმეველი კი (საცეცხლურში აგზნებ-
ული და უფლისადმი კმეული) არის სახე
(ანუ ბეჭედი) ნელსაცხებლისა (რომელიც
მაცხოვარს სიცოცხლეში სცხეს); როგორც
ამბობს მეფე წინასწარმეტყველი დავით „წა-
რემართენ ლოცვაი ჩემი ვითარცა საკუმევე-
ლი შენ წინაშე, აღპყრობაი ხელთა ჩემთაი

მსხუერპლ სამწუხროდ” (ფს. 140, 2). ხან-თელი კი, რომელიც წინ მიუძღვებათ ხოლმე ღვთისმსახურებს გამოსვლის დროს, განასახიერებს წმიდა იოანე ნათლისმცემელსა და მის სწავლებას, რომელიც უდაბნოსა შინა განაცხადებდა მაცხოვრის მოსვლას. როგორც წინასწარმეტყველი ამბობს – „ხმაი ღაღადებისაი უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი”. ან კიდევ: „აჰა ტარიგი ღმრთისაი, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი”... ან კიდევ: „მე ნათელ-ვსცემ წყლითა, ხოლო შორის თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით, რომელი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, რომელი პირველი ჩემსა იყო, რომლისა არა ღირს ვარ მე. რაითა განვხსნა საბელნი ხამლთა მისთანი” (ლუკა 3,4-6. და იოანე 1, 26-27).

იუდას მათი, ანუ ამ შესანიროთა ქრისტესადმი, როგორც ღმერთისადმი გალების აკრძალვაც სურდა და განიზრახავდა წინ

აღდგომოდა ამას (ანუ მათ მოცანასა და იესოსათვის ნელსაცხებლების მთლიანად ცხებას), მაგრამ მთიების მიერ ვერცხლის-მოყვარეობით ცდუნებული და ძლეული მზა-კვარი იუდა თავადვე ამგვარი სახით ჩაინ-თქა ჯოჯოხეთში:

ერთხელ, ერთმა ერისკაცმა მაცხოვარს უძვირფასესი ნელსაცხებელი მოართვა, იესო ქრისტემ ბრძანა, რომ შეენახათ იგი მისი, კაცის ძის, დაკრძალვის დღისათვის, იუდა კი ეძიებდა დროს, რათა იგი გაეყიდა, რამეთუ ღირებულება მისი იყო ფრიად დიდი. მაცხო-ვარმა კი თქვა: „დაე, შენახული იყოს იგი ჩემი დაკრძალვის დღისათვის".

რაღაც ამგვარივე მოხდა მაშინაც, რო-დესაც იუდამ თავისი მამის ბაღი გაძარცვა და იქიდან უმშვენიერესი, სურნელად ნოდე-ბული ყვავილები წამოიღო, ამიტომაც იყო მაცხოვარმა შეხსენების მიზნით, მახვილგო-ნივრულად რომ მიანიშნა იუდას: „თავი და-ანებე მას, მე იგი მჭირდება ჩემი დაკრძა-

ლოვის დღისათვის".

და იუდას გულშიაც ავი დუღილით აღბორგდა სიბოროტე. გულთამხილავმა ქრისტემ კი იცოდა იუდას ჩანაფიქრი...

იმ დღეს, როდესაც მაცხოვარმა მოციქულებს ფეხები საკუთარი ხელით დაბანა და რის შემდეგაც ყველანი სატრაპეზოდ დასხდნენ, პურობის დროს უფალმა ამოიოხრა და თქვა, რომ თქვენ თორმეტთაგანში არის ერთი, რომელიც მე ცოდვილ ადამიანთ დასასჯელად გადამცემს. მოციქულები დიდად შეწუხდნენ და ერთმანეთში აჩურჩულდნენ: ვინ უნდა იყოს იგი, რომელიც მას გასცემს? როდესაც მაცხოვარმა აღელვებული მოწაფეები იხილა, თქვა: ის, ვინც ჩემს წინ ხელს გაიწვდის – და იმავე წამს იუდამ მაცხოვრის წინაშე სუფრაზე ხელი გაიწოდა (სამარილეს მისწვდა).

იესო ქრისტემ არ ისურვა, რომ არეულობა მომხდარიყო, როგორც ეს ახლანდელ ადამიანებს სჩვევიათ, არამედ მხოლოდ მი-

ანიშნა გამცემის შესახებ და ამის მერე სი-ტყვა აღარ დაუძრავს...

მაშინ განაწყენა მან ლიტურგისეული მსხვერპლი (ევქარისტიის მცნების შესახებ სიტყვები: „იქმოდეთ ამას ჩემს მოსახსენებლად"), რომელსაც ჩვენ დღესაც აღვავლენთ... სერობის შემდგომ იუდა მოციქულებრივ კავშირს, უკეთ თუ ვიტყვით, თავის საძმოსთან კავშირს განერიდა და იქმნა დემონის მოკავშირედ და ძმად ეშმაკისა...

და თქვა მზაკვარმან თავის ვერაგულ და არაწმიდა ზრახვაში: მივიღებ ჯილდოს მათგან, ვინც მას დაეძებს; და კიდევ უფრო მეტს მოვითხოვ, და რასაც მოვითხოვ, მომცემენ კიდეც... იმავე წამს იუდა ებრაელთა სინაგოგაში მივიდა და ხმით მაღლითა განაცხადა: რას მომცემთ მე, უკეთუ მას თქვენ გადმოგცემთ? – ურიებმა იუდას იმავე წამს გამოუტანეს ოცდაათი ვერცხლი და მისცეს. როგორც კი ფული მიიღო, იუდამ თქვა: მომყევით მე. ურიებმა ხელში ჩირაღდნები,

კეტები, დანები, თოკები და როზგები იპყ-რეს და იუდას გაჰყვნენ.

იმ ჟამს იესო ქრისტე ლოცვად იდგა. ლოცვის შემდეგ იგი მოციქულებთან მივიდა და უთხრა: „იღვიძებდით და ილოცავდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა;" (მათე. 26, 41) და კვლავ წავიდა სალოცავ ადგი-ლას და მრავალ საათს ლოცულობდა... ისევ დაბრუნდა მოციქულებთან და იხილა რა ის-ინი კვლავაც მძინარენი, მშვიდად უთხრა: „აღსდექით, მღვიძარე იყავნით და ილოცეთ, რამეთუ არა უწყით არც დღე და არც სა-ათი... რამეთუ ძე კაცისა მიეცემის..." კვლავ დაუბრუნდა სალოცავ ადგილს, ილოცვიდა და ასე იტყოდა: „მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლე-ბელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე;" (მათე 26, 39). იმავე ჟამს, ამ სიტ-ყვებისთანავე, გამოჩნდა ჩირაღდნიანი იუდ-აც, მრავალი ჩირაღდნისაგან არემარე დღე-სავით განათდა, თუმცა კი იყო ღამე. და უთხრა იუდამ ურიებს: „ვისაც მე მოვეხვე-

ვი და ვეამბორები, იგი შეიპყრით..." მაშინ იმ ადგილას, სადაც მოციქულები იყვნენ შეკრებილნი, მრავალი მეომარი მივიდა. იუდამ კი, რომელსაც ხელში ვერცხლით სავსე ქისა ეჭირა, არაწმიდა მკლავი მას, უწმიდესს მოეხვია და უთხრა: გიხაროდენ, რაბი, და მეომართა წინაშე თავისი ბილწი ბაგით ვერაგულად ეამბორა შეუბილწველ ხატებას მისას, რის შემდეგაც იგი მათ გადასცა, ხოლო თავად კი იქაყრობას განეშორა და ვერცხლისმოყვარეობის სიბნელეს შეერია... (ანუ მაცხოვრის ნათელს განეშორა და თავისი ვერცხლისმოყვარეობით ეშმაკის სიბნელეს შეერწყა)... და შეიპყრეს მეომრებმა ქრისტე; მოციქულები კი, რომლებსაც მაცხოვრის შეპყრობა იხილეს, აღელდნენ. პეტრემ ერთ-ერთი მონათაგანი ძირს დაანარცხა, მოკლე მახვილი იშიშვლა და განრისხებულმა მას ყური ჩამოათალა. მაშინ მაცხოვარმა შესძახა „პეტრე! პეტრე! ჩააგე მახვილი ქარქაშში, რამეთუ ვინც მახვილი აღიღოს, მახვილი-

თვე წარწყმდეს...” და წარიყვანეს ქრისტე როგორც ავაზაკი და სამსჯავროში წარადგინეს. და „შეითქუნეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათვის და ცხებულისა მისისათვის” (ფს. 2,2). მაშინ შეურაცჰხყოფად მოიცვა მხსნელი კაცობრიობისა, მეწამულმა მოსასხამმა დაჰფარა სხეული მისი... ეკლის გვირგვინით შეუმკეს თავი, რომელზედაც ნათლისმცემლის ხელი ძრწოდა, თვალები აუხვიეს და ისე ჰგვემეს! და დაცინვით მისგან წინასწარმეტყველურ სიტყვას ითხოვდნენ!.. და სხვა ამგვარი უზომო სატანჯველებით აწამებდნენ!.. ვერცხლისმოყვარეობით დაბნელებული იუდა კი, როდესაც მაცხოვრის ესოდენი ტანჯვა იხილა, დამწუხრდა და ფრიადმა სინდისის ქენჯნამ შეიპყრო, მაგრამ ვითარცა პეტრე, სინანულით კი არ შეუვრდა ქრისტეს და ცხარე ცრემლით კი არ გამოიტირა უსჯულოება თვისი, არამედ წავიდა, ვერცხლი იგი იქვე განაბნია სადაც მიიღო და თქვა: „ვცოდე,

„რამეთუ მიგეც სისხლი მართალი"... ხოლო მწიგნობრებმა და ფარისეველებმა მიუგეს: „ჩვენდა რაი? შენ იხილე!" ისინი შეწუხებულები ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რომ ამ ფულის სიწმიდეში დადება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ მათ იუდასეული ვერცხლით უცხოთა დასამარხავად აგარაკი შეისყიდეს, რომელიც დღემდე არსებობს.

იუდამ კი ვერცხლის გადაყრის შემდეგ ერთ უდაბურ ადგილას მიმართა და დამწუხრებულმა აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. და როდესაც იგი ამის შესახებ განსჯიდა, მას გონებაში მოუვიდა განზრახვა თვითმკვლელობის შესახებ. მან, არაწმიდამ, შეისმინა არაწმიდის რჩევა და საქმე იგი ამგვარად აღასრულა. იმ ადგილას, სადაც გამცემი იმყოფებოდა, თითქოს საგანგებოდ, სასჯელისათვის იდგა ერთი ხე, იუდამ იმავე წამს შეიხსნა სარტყელი, რომელიც აქლემის ბეწვისაგან იყო დაგრეხილი, ერთი ბოლო კისერზე გამოიკვანძა, ხოლო მეორე ბოლო

კი ხის ცოცხზე ჩამოაბა... მაგრამ როგორც კი მან განზრახვის შესრულება გადაწყვიტა (ანუ ჩამოიკიდა), ცოცხი ძირს ჩამოიწია... ყველას არ ეწადა ცოდვილი იუდას საუკუნოდ წარწყმედა, არამედ სურდა მობრუნება და სინანული მისი, რამეთუ იუდა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იყო ადამიანი. მაგრამ იუდამ არ შეიხსნა კისერზე გამობმული ყულფი, არ მივიდა ჯვარცმულ მაცხოვართან, არ დაიჩოქა მის წინაშე და არ შეჰღაღადა: „მე გავცვი შენ ჯვარს, მაპატიე!.. ჩემმა ბოროტმა ზრახვამ აღგიყვანა შენ ჯვარზე... გულმოწყალე მექმენ მე..." და უკეთუ იგი ჯვრის წინაშე წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს და მათ საქმითაც აღასრულებდა (ანუ სინანულს გამოხატავდა), მაცხოვარი მიიღებდა მას, მაგრამ როგორ უნდა აღესრულებინა იუდას იგი საქმით? – მას მწარედ უნდა ეტირა, ცხარე ცრემლი ოხვრითა და გმინვით ეღვარა, საბრალობლად ექვითინა და შეწყალებული იქნებოდა. მაგრამ იუდა ამგვარად არ

მოქცეულა (ანუ მას არ სურდა თავის გადასარჩენად ჯვარცმული მაცხოვრის წინაშე დამხობოდა მიწას). მაგრამ იმისთვის კი დაემხო მიწას, რათა თავი ჩამოეხრჩო. მიუხედავად იმისა, რომ ტოტი ჩამოიწია... ხოლო ჯვარზე კი უსათნოესი მაცხოვარი იტანჯებოდა, ვისშიც იუდას შეეძლო ყოველად დარწმუნებულიყო, რამეთუ იგი მის სინანულს უსათუოდ შეიწყნარებდა, ისევე როგორც ბასილი დიდმა გაუწია თანალმობა ურია იოსებს (რომელიც სასიკვდილო სარეცელზე მწოლარემ მონათლა). მაგრამ იუდამ სინანულის ამ სიტყვათა თქმას ყელზე საბლის მტკიცედ შემოხვევა ამჯობინა – ისკარიოტელმა!.. და გაჰყურებდა მაცხოვარი შორეთს თავისი ჯვრის ორივე მხარეს, რათა დაენახა იუდა... მას, რომელიც ადამიანთა ხსნას ესწრაფვოდა, სწყუროდა იუდას სინანულიც და ეძიებდა მას... დიდი ხმით შესძახა ქრისტემ: „მწყურის" ურიებს ეგონათ, რომ იგი წყალს ითხოვდა, თვისი იუდეური ურცხვობით ღრუ-

წელი ნაღვლნარევი ძმრით აღავსეს, ლერწამზე წამოაგეს და ჯვარცმული მაცხოვარი იმით დაარწყულეს და კვლავ შესძახა მან: „აღსრულდა"...

რისი გულისთვის მივიდა იუდა მაცხოვართან – დასალუპავად თუ საცხოვნებლად? უკეთუ საცხოვნებლად, მაშინ რისთვისღა მოკვდა უბედური იგი? – იმიტომ, რომ მას, უმერყევსს, არ გააჩნდა სიმტკიცე რწმენის.

იუდა ისეთი გონების პატრონი იყო, რომ მისთვის ტკბილი მწარედ იქცეოდა და მწარე ტკბილად. ამის დამადასტურებელია ის, რომ მან თავი ხეზე ჩამოიღრჩო და სული თვისი მარადიული ტანჯვისათვის გასწირა.. უფალს კი არ ეწადა, რომ იუდას განაზრახი სისრულეში მოეყვანა (თავი მოეკლა), ანუ განგებ იქმოდა ისე, რომ თვითმკვლელობის პირველი მცდელობანი მას არ გამოსდიოდა. უფალი, იუდას იფარავდა და მანასეს, ავაზაკისა თუ მეძავის მსგავსად მისგანაც ელოდა სინანულს, მაგრამ თავქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანი იყოს მაინც ისეთივე რჩებოდა, რო-
გორც იყო ადრე, გულითა და გონებით
კვლავ სიბოროტისკენ მიდრეკილი და უფ-
ლის გულმოწყალებისადმი პირაქცეული!..
მან ღმერთი განსაჯა, ღმერთი კი მაინც შემ-
წყნარებლურად მოექცა მას და ტოტს, რო-
მელზედაც იუდამ შიშთვილიბა, უბრძანა,
დაბლა დახრილიყო და ტოტიც დაიხარა.
მაგრამ სიბოროტისაგან გონმიხდილმა იუდამ
თოკი დაამოკლა, ახლა უფრო მაღლა, მე-
ორე ტოტზე მოაბა მარყუჟი და იმ სიმაღ-
ლიდან გადმოხტარმა კვლავ თავის ჩამოხ-
რჩობა სცადა, რათა აღუსრულებელი განა-
გისი აღესრულებინა და ამით სიბოროტე
თავისი სრული ექმნა!.. მაგრამ ღმერთმა კვლავ
ისე მოხარა ტოტი, რომ მას ამჯერადაც ხე-
ლი მოეცარა, მაშინ ღვარძლით გაუმაძღარმა
იუდამ, კიდევ უფრო ზემოთ, თავისი სიბო-
როტის მესამე სართულზე მოაწყო საკიდა-
რი, ავიდა, ყელზე მარყუჟი ჩამოიცვა და
ახლა უკვე იქიდან, მესამე ხარისხის სიმაღ-

ლიდან გადმოიგდო თავისი უწმიდური, სამ-გზის შებილწული (მამის მკვლელობით, დე-დასთან მრუშობითა და ძმის მკვლელობით) სხეული და თავი საბოლოოდ წარიწყმიდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წმიდა ნილოს მირონმდინარე (ათონელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა:

Посмертные вещаниа преподобного Нила Мироточивого Афонского, “НИ-КА”, Житомир, 2002 г. стр. 56-66

თარგმნა: თეიმურაზ სავანელიძე

---


კომპიუტერული მომსახურება:
ნათია ჭინჭარაული
კორექტორი: ნ. გონჯილაშვილი

საკონტაქტო ტელ: 899 94-60-24
ოთარ ნიკოლაიშვილი

თბილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა კავშირის სახლი
99-50-19

K 74.066
2
ეროვნული
ბიბლიოთეკა